პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე- 2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 122-ე-128-ე მუხლების, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 209^3-ე, 239-ე მუხლის მე-14 და 27-ე ნაწილების, 240-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების დანართი №1-ის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი თანახმად N1 დანართისა.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალის, გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის აქტის ტიპური ფორმები თანახმად N2-N5 დანართებისა.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას მითითების, შემოწმების აქტის, უწყების და

დადგენილების ფორმები თანახმად N6-N12 დანართებისა.

მუხლი 4.

განისაზღვროს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი დანართი N13 შესაბამისად.

მუხლი 5.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება №8. (matsne.gov.ge 16/02/2018, ს/კ 010250000.35.114.016387).

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი: ირაკლი ახობაძე